



საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N16 - ელექტრონული ყულაბით მომსახურებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. შეიცვალოს **პუნქტი 2** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაციით:
„2. კლიენტი უფლებამოსილია ფლობდეს ანაზრის ანგარიშზე ან/და მიმდინარე ანგარიშზე აქტიურ რამდენიმე ელექტრონულ ყულაბას. ამასთან, ერთი ანაზრის ანგარიშზე შესაძლებელია ერთი ელექტრონული ყულაბის გააქტიურება.“
2. დაემატოს **პუნქტი 8.4** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაციით:
„8.4. იმეილ ბანკი (SOLO ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე ან დაგროვილი ქონების მართვის მომსახურების კლიენტის შემთხვევაში).“
3. შეიცვალოს **პუნქტი 9** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაციით:
„9.თუ ელექტრონული ყულაბა აქტიურდება ანაზრის ანგარიშზე, მაშინ ელექტრონული ყულაბის ვალუტა განისაზღვრება ანაზრის ვალუტის შესაბამისად.“
4. დაემატოს **პუნქტი 15** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაციით:
15. იმ შემთხვევაში თუ სადებეტო ბარათის საბარათე ანგარიშს წარმოადგენს მულტისავალუტო ანგარიში, მაშინ:
15.1. კლიენტი უფლებამოსილია ელექტრონული ყულაბის მეშვეობით თანხის დაგროვებისთვის აირჩიოს როგორც ბარათის ერთი კონკრეტული ვალუტის საბარათე ანგარიში, ისე ბარათის რამდენიმე (მათ შორის ყველა) ვალუტის საბარათე ანგარიში, შესაბამისად აღნიშნული ანგარიშ(ებ)ის გამოყენებით შესრულებული ოპერაციის შემთხვევაში დაგროვდება თანხა ელექტრონული ყულაბის მეშვეობით.
15.2. იმ შემთხვევაში, თუ ოპერაციის შესრულების ანგარიშ(ებ)ზე არ არის თანხის დაგროვებისთვის საკმარისი თანხა, მაშინ დაგროვებისთვის განკუთვნილ შესაბამის (ანაზრის ან/და მიმდინარე) ანგარიშზე თანხის გადარიცხვა განხორციელდება, კონვერტაციის გზით, ბარათის მულტისავალუტო ანგარიშის (ყველა ვალუტის ანგარიშის) ჯამური თანხის (ლიმიტის) გათვალისწინებით. ამასთან, კონვერტაცია განხორციელდება გადარიცხვის დღეს ბანკში არსებული კომერციული კურსით, შემდეგი ვალუტის პრიორიტეტულობის შესაბამისად: ლარი, აშშ დოლარი, ევრო და ბოლოს ფუნტი სტერლინგი, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველი პრიორიტეტი არის ბარათის ძირითადი ვალუტა.“
5. შეიცვალოს **პუნქტი 16** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაციით:
„16. იმ შემთხვევაში თუ ელექტრონული ყულაბით თანხის დაგროვებისთვის განსაზღვრული ანგარიშის ვალუტა განსხვავდება დაგროვებისთვის განკუთვნილი (ანაზრის ან/და მიმდინარე) ანგარიშის ვალუტისაგან, მაშინ ანგარიშზე თანხის გადარიცხვა განხორციელდება, კონვერტაციის გზით გადარიცხვის დღეს ბანკში არსებული კომერციული კურსის შესაბამისად.“

ზემოთ მოცემული პუნქტების დამატებიდან გამომდინარე, არსებული პუნქტების ნუმერაცია შეიცვალოს დარჩენილი პუნქტების თანმიმდევრობის შესაბამისად.